

## აჭარის პედაგოგთა V რეგიონული კონფერენცია

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი/ბათუმის მასწავლებლის სახლი აცხადებს აჭარის პედაგოგთა V რეგიონული კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაციას. კონფერენცია სახელწოდებით: „სწავლა/სწავლების და განათლების მართვის თანამედროვე მიდგომები“ გაიმართება 2018 წლის 21-23 დეკემბერს.

კონფერენციის მიზანია: მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება; სკოლაში ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის პრაქტიკა და გამოცდილების გაზიარება; სკოლებში ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის სწავლების გამოცდილების გაზიარება; განათლების მართვის სფეროში აქტუალური საკითხების, მართვის წარმატებული მაგალითების გაზიარება.

კონფერენციის ძირითადი მიმართულებებია:

- სწავლების საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება (ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი მიმართულებები)
- ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლების გამოცდილება;
- ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა;
- განათლების მართვის აქტუალური საკითხები.

**V კონფერენციის ეტაპები:**

**I. 2018 წლის 22 ოქტომბერი - 19 ნოემბერი:** კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით მსურველებმა უნდა შეარჩიონ თემა, მოამზადონ აბსტრაქტი და პრეზენტაციები, და შევსებულ სარეგისტრაციო ფორმასა და ცნობასთან ერთად გამოაგზავნონ შესაბამისი მიმართულების კოორდინატორთან.

**II. 2018 წლის 1 დეკემბერი:** თითოეულ საგნობრივ მიმართულების ექსპერტი გამოვლენს საუკეთესო ნაშრომებს.

**III. 2018 წლის 21-23 დეკემბერი:** გამოვლენილი საუკეთესო ნაშრომების ავტორები წარსდგებიან აჭარის პედაგოგთა V რეგიონულ კონფერენციაზე. კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი.

**კონფერენციის განრიგი:**

**I დღე - კონფერენციის გახსნა, საერთო პლენარული სესია** (მომხსენებლები - აჭარის განათლების ფონდის/ბათუმის მასწავლებლის სახლის დირექტორის მოადგილის საანგარიშო მოხსენება, განათლების სისტემის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მათ შორის სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან).

**II და III დღე - სექციური მუშაობა:**

1. ქართული ენა და ლიტერატურა
2. განათლების დაწყებითი საფეხური / ხელოვნება / მუსიკა / სპორტი
3. გეოგრაფია/ისტორია/სამოქალაქო განათლება/ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება

4. უცხოური ენები
5. მათემატიკა / ფიზიკა / ისტი
6. ქიმია / ბიოლოგია / ბუნებისმეტყველება
7. განათლების მართვა / ინკლუზიური განათლება

III დღე - კონფერენციის დახურვა. (სექციური მუშაობის შეჯამება. სერტიფიკატების გადაცემა.)

### კონფერენციის თემატიკა:

- ✓ **სწავლების საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება;** *(ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი მიმართულებები)*  
საუკეთესო გამოცდილება უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე, ინოვაციურ პედაგოგიკურ მეთოდებსა და მიდგომებს: კვლევაზე/პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი; ინტეგრირებული გაკვეთილი, პროექტ-გაკვეთილი; ინოვაციური გაკვეთილი; ისტი-ს გამოყენება სასწავლო პროცესში; საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა და სხვა...
- ✓ **ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის სწავლების გამოცდილება;**  
კატასტროფების რისკის შემცირება ეროვნულ სასწავლო გეგმაში; კატასტროფების რისკის შემცირების სწავლების ხელშეწყობი საგანმანათლებლო რესურსები; კატასტროფების რისკის შემცირების სწავლების მეთოდები და სტრატეგიები.
- ✓ **ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა:**  
სსსმ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, პრობლემური ქცევის მართვა; სსსმ მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიები; ადაპტირებული გაკვეთილები და სხვა...
- ✓ **განათლების მართვის აქტუალური საკითხები:**  
სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების წარმატებული თანამშრომლობა მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს განვითარებისთვის; სწავლა/სწავლების პროცესის მონიტორინგის და შეფასების სტრატეგიების დანერგვა სკოლაში; სკოლის შიდა შეფასების დანერგვა სკოლის თვითშეფასების მიზნით და სკოლის დირექტორის როლი ამ პროცესში; სკოლაში ძალადობის პრევენცია და რეაგირება; სასკოლო პროექტების შემუშავება/განხორციელება და შეფასება; სასკოლო თვითმმართველობის განვითარება; მშობელთა და საზოგადოების (თემის) ჩართულობის უზრუნველყოფა.

### კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

- ✓ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოქმედ მასწავლებლებს,
- ✓ საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპეც. მასწავლებლებს;
- ✓ სკოლების ადმინისტრაციის და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებს.

### მოსალოდნელი შედეგი:

- ✓ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ კოლეგებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და განიხილონ თავიანთი წარმატებული პრაქტიკა.
- ✓ კონფერენციის შედეგად მიღებული ინფორმაცია მასწავლებლებს დაეხმარებათ საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.
- ✓ მასწავლებლები ხელს შეუწყობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს განათლების ხელშეწყობა, მათ სოციალური ინტეგრაციაში, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაში.
- ✓ კონფერენციის მონაწილე დირექტორებს/დირექტორის მოადგილეებს საშუალება მიეცემათ კოლეგებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, განიხილონ წარმატებული მაგალითები მართვის სფეროში და გააუმჯობესონ არსებული პრაქტიკა.
- ✓ კონფერენციის მომხსენებელთათვის გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი, რომლის საფუძველზეც სკოლის შეფასების ჯგუფი მასწავლებელს მიანიჭებს შესაბამის კრედიტულას.